

1945

ქვემოთაშენის
გრაფიკული



1945 **თქტომბრელი** მ ა ი ს ი № 4 :



საბავშვო ჟურნალი
მცირეწლოვანთათვის

ოქტომბრელი

№ 4

მ ა ი ს ი
1945

წელიწადი მებუთვებზე

საბარატნიშლოს ალკა ცენტრალური
ქრ.მ.ი.ბ.ბ.ბ.ის შრომითი-მშენებელი ორგანო
„Октябрили“ еженесячный детский
журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ
(на грузинском языке)

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 28
ტელ. 3-81-85

შ ი ნ ა ა რ ს ი

• გიორგი შატერიაშვილი — გამარჯვება (ლექსი)	28
• გიორგი ქუჩიაშვილი — დილა (ლექსი)	3
• მათარ ჩხეიძე — ნანულის ჩიორა (მოთხრობა)	4
• კონსტანტინე ჭიჭინაძე — შეჯიბრი (ლექსი)	5
• გრიგოლ ჩიქოვანი — შეხედღა (მოთხრობა)	6
• ანდრო თევზაძე — თამარის სიმღერა (ლექსი)	7
• შალვა ლორთქიფანიძე — გვირის ბარათი (ლექსი)	7
• გივი გაჩეჩილაძე — აუ-აუ (ლექსი)	7
• გრიგოლ ციცილაძე — ვულკეთილა და მზეცები (ზღაპარი ლექსად)	8
• ილია სიხარულიძე — პაწაწინა ლექსები	11
• ავადმყოფი ბელურა (რუსული ზღაპარი თარგმანი პარმენ ჭანიშვილისა)	12
• ნიკოლოზ ჩაჩავა — ჩემად, ფისი (ლექსი)	13
• მარიჯან — ანგარიში (მოთხრობა)	14
• ინგლისური ხალხური გამოცანები	14
• კუკური ვაგიაშვილი — ჭარველი წიწილა (ლექსი)	15
• შალვა თაბუკაშვილი — კოლა	16
• ალექსანდრე სარინოვი — გამოცანები	16
• ლამბაქის, ფინჯინისა და კოვზის ჩაუბი (ინგლისური ზღაპარი თარგმანი ვახტანგ ჭელიძისა) გარკე. მე 3 გვ. რებუსი გარეკანის მე-4 გვ.	

გარეკანის 1 — ლ გვერდზე — „გამარჯვების საღვთო მოსკოვში“ — ნახატი შესრულებულია მხატვარ ნათელა იანჭოშვილის მიერ.

გარეკანის მე-4 გვ. „შამა დაბრუნდა“ — ნახატი შესრულებულია მხატვარ სამსონ ნადარეიშვილის მიერ.

ჟურნალი გამოწვეულია მხატვრების: ლადო ავალიანის, ირინე გეგნერის, ლადო გუდიაშვილის, ნათელა იანჭოშვილის, სვეტიცხოველის, კოტე კიკნაძის, ფარნაოზ ლაპიაშვილის, სვეტიცხოველისა და სამსონ ნადარეიშვილის მიერ.

4050



საქართველოს
საქართველოს



გამარჯვება

რად აწუდებიან ფანჯარას,
 რას ქღურტულებენ ჩიტები?
 ადექით, დილა გათენდა
 გამარჯვების და დიდების!
 ადექით, სწრაფად ჩაიცივით,
 შეკონეთ ია-ვარდები,
 გამარჯვების დღე მოსულა,
 გადაიარეთ დარდები!
 გადით ქუჩებში უიჟინით,
 დიდების დილა ახარეთ,
 ნამდაფურქვეული ვეავილი
 მებრძოლებს გადააყარეთ!
 მზე ამოსულა, სხივს აფრქვევს,
 დგება ნანატრი წამები,
 ბრძოლის კელიდან ჩამოვლენ
 თქვენი ძმები და მამები...
 რად აწუდებიან ფანჯარას,
 რას ქღურტულებენ ჩიტები?!
 ადექით, დილა გათენდა
 გამარჯვების და დიდების!
 ვეელგან მსის სხივი დაგხედებთ,
 ია და ვარდი ვეელადის,
 წინ მიკიდებთ დიდილი
 გამარჯვებული ბელადის!

გიორგი შავაჩაიანი





ნახატი ფანაოზ ლაბიაშვილისა

ღ ღ ი ღ ლ ღ ა

რა ლაღის დილა გათენდა!
 რა ხალისია! რა შვება!
 მზე ქაღაქს დაქათქათებს და
 სიო მტკვარს ქთამაშება!
 რა კრელი ყვავილებია,
 რა კობტა ბაღჩა-ბაღები!
 ფრინველებს ეგებებიან
 ხელეგამლოლი ბაღლები!
 აღერსით ეკითხებიან:
 „ჩიტებო, გენაცვალებით,
 ხომ არ გინახავთ ფრონტებზე
 მებრძოლი ჩვენი მამები?“
 „პო, როგორ არა! გვაფიცეს:
 გადმოგცეთ მათი საღამი!
 მტრებს მიჰკიოდნენ,
 მიჰქროდნენ,
 აღმოდებული ალაშით!

გიორგი ქაჩიავილი



ნანულის ზიკრა



მ მ თ ხ რ მ ბ ა

მესტირემ კლუბის კარებთან გულა გაბერა, დაუკრა და ძღვევამოსილი ვაჟკაცების ქება იმღერა.

ყური მიუგდო პატარა ნანულიმ. ნათელი წაფენინა მის ცქრიალა სახეს. შეეტკბო მესტირეს, ახლოს მივიდა, ჩოხის კალთაზე მოეხვია.

სტვირი დადუმდა.

მესტირემ თმაზე დაუსვა ხელი ნანულის.

გათამამდა ნანული და გაბედვით უთხრა:

— ბრძოლის ველზე ბრძანდებოდით, ტკბილო ბიძიკო?

— არა, კარგო გოგონა!

— მაშ საიდან იცით ამდენი ამბავი?!

— ჩიტმა-ჩიორამ მომიტანა, ჩემო ცუგრუმელავ!

ახლა თავი დახარა ნანულიმ და წაიღუღუნა:

— რა ცული ჩიტი ყოფილა! მამა-ჩემის ამბავიც მოეტანა, რა იქნებოდა!

მესტირე ოდნავ კრთომით დააკვირდა ნანულის და ჰკითხა:

— შენ რომლისა ხარ, ჩემო მალხაზო?

— მე ტრაქტორისტ ლევანის შვილი ვარ!



ნახატები ხამსონ ნადარეშივილისა

— ლევანისა? ოჰო! როგორ არ მოიტანა ჩიტმა იმისი ამბავი, პირველად ის მომახარა! აბა ყური დამიგდე! — მესტირემ სტვირის გულა გაბერა, დაუკრა და ჩაარაკრავა:

... გრიალი, ზრიალი, ლაწანი...

ტანკთა კოლონამ წამოიწყო მძაფრი შეტევა. უძღვის ლევანი... მიიწვევენ და მიღეწეს წინა სიმაგრენი. ცელავს ლევანი დაუნდობლად მტერს და ჩიტ-ჩიორას სთხოვს ეამბოროს პატარა ნანულის მამის მავიერ.

დადუმდა მესტვირე, ალერსით
შეხედა ნანულის.

— ისევ გაფრინდა ბრძოლის ველ-
ზე ჩიტო-ჩიორა, — უთხრა მესტვი-
რემ, — კიდევ მოგვიტანს მრავალ
ამბავს!

ნანულიმ მესტვირის ხელი გულს
მიიხუტა და წაიჩურჩულა:

— ტკბილო ბიძიკო, ბრძოლის ვე-
ლიდან როცა დაბრუნდეს ჩიტო-
ჩიორა, უთხარი: მოფრინდეს ჩემს
სარკმელთან, საკენკს დავუყრი...
ეტყვი ბიძიკო?

შეჰპირდა მესტვირე, — უმპკველად
ჩიორა ჩიტს გაახლებო.

... დგას სარკმელთან პატარა ნა-
ნული და რამდენი ჩიტიც შეეღურ-
ტულვებს, ყველას მისჯახის:

— ჩიტო მალხაზო, შენ მოგაქვს
ბრძოლის ველიდან მამაჩემის ამბა-
ვი? მოცა, მოიცა მითხარი რამე!

მუარ ჩხიძე



გოულიმ წივნი მისწვრა
აჩიკოსა და ლეოსა:
„ამ კახაფსულზე დავიდებთ
მე თქვენ ერთ სანამლეოსა.
წელს ჭიდაობით, ცელქობით
არა ვარ თავის გამართობი:
მე მინდნ დაგამუშავო
მიწის მოზრდილი ფართობი.
ზარკში მიურია სიმიდის
კადარჩეული მარცვლები,
სკოლიდან მოვალ, — მოსწავლეს
მთოსნული შევენაცვლები.
ვიფიქრე, თქვენაც გირჩიოთ
აღება თითო ნაკვეთის,
წაიმუშავებთ საღამოს,
როცა მოჩებით გაკვეთილს.
არდაღეკები დაღება,
ხელს ნუ ავიღებთ შრომაზე.
რომელი რომელს ვაჯობებთ,
შევიტეობთ შემოდგომაზე.
დე, შესობლებმაც კაცონ,
რომ აღარა ვართ ღლანებე,
ჩაიცინებენ უღვაშში
ჩვენი ბებერი ზაბები“.

ქონსაანინა ჭიჭინაძე



შეხვედრა

მ. მ. თ. ხ. რ. ბ. ა.

სკოლიდან მომავალი არჩილი ტრამეის მოტორიან ვაგონში იჯდა. წინა ბაქნიდან რამდენიმე კაცი და ქალი ამოვიდა. მგზავრების უმრავლესობა სამხედროები იყვნენ. არჩილს მათთვის ყურადღება არ მიუქცევია, თავისი ფიქრით იყო გართულებული: დღეს გაკვეთილების შემდეგ კლასში კრება ჰქონდა და შინ დაბრუნება დაუფიქრებია, წუხდა, დედას არ შეშინებოდა. ფრონტზე მამის წასვლის შემდეგ დედა ისე ფრთხილი გახდა, რომ პირველ ხანებში არჩილს სკოლაში მარტო აღარ უშვებდა. რკვენიოდა არჩილს. პატარა ხომ არ იყო, ათი წლის გახდა და უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებებს თვითონ კითხულობდა გახეთქილად.

ძლივს დაიყოლია დედა, რომ სკოლაში არ გაეცილებინა. ახლაც რამდენ შიშს განიცდის დედა, სანამ არჩილი სკოლიდან არ დაბრუნდება. არჩილმა იცის, რომ ამის მიზეზი მამაა. მამა რომ შინ იყო, დედა არასოდეს არ ნერვიულობდა.

მოსახვევში ტრამეაიმ ერთბაშად უმატა სვლას. ჩაფიქრებულმა არჩილმა თავი ასწია. მისკენ ზურგშექცევით იდგა ერთი ყავარჯნიანი ლეიტენანტი. არჩილი ყოველთვის განსაკუთრებულ თავაზიანობას იჩენდა დაჭირილი მებრძოლის მიმართ. ახლაც სწრაფად წამოიღდა და ლეიტენანტის ხალათის კალთას შეეხო.

— აი ადგილი, დაბრძანდით, ბიძია, — უთხრა უცნობს და ვერც კი მოასწრო სახეზე შეეხედა მისთვის. შემდეგ გაჩერებაზე ჩამავალ მგზავრებში მოექცა, ხან მარჯვნივ შეატრიალეს უნებლიედ და ხან მარცხნივ. ქული ვეერღზე მოექცა, პალტოს ღილები შეეხსნა.

ტრამეაი კვლავ დაიძრა. არჩილი ახლაც იმ ადგილას იდგა, სადაც წელან ყავარჯნიანი ლეიტენანტი იყო. ლეიტენანტს



ვახუტი ილია გუბენკო

ვერც ახლა ხედავდა. დააფიქრა კიდევ იგი, მაგრამ აი, უკანინან მხარზე ვილაც შეეხო. ვინმე აბეზარი მგზავრი თუ დაეყრდნო, ან ვინმე წაბოძიკებულმა თუ წაატანა ხელი.

არჩილმა მოიხედა. მამაკაცის გამხდარი, გაკვეთილებული ხელი იდო მის მხარზე.

— შეილო! — მოესმა მამინვე ათრთოლებული ხმა...

— მამა! — შესძახა მთელი ხმით არჩილმა.

ბავშვის შეძახილზე ახლომახლო მდგარი მგზავრები მობრუნდნენ.

— შეხედეთ, მამა!

გაისმა აქეთ-იქიდან მგზავრების ხმა. ყავარჯნიანი მემორის მკერდზე სახით მიკრული არჩილი კი სიხარულით ბუტბუტებდა:

— მამა, ჩემო მამიკო!

გრიგოლ ჩიქოვანი

თამარის სიძეობა



მე მაისში დავიბადე,
 გაზაფხულის ყვავილი ვარ.
 ჯერ ხუთი წლის არ ვიქნები
 და აღლუმზე მაინც მივალ.
 მეც მაქვს ღრრვა ალისფერი,
 მუდამ ასე მაღლა ვიჭერ;
 ვერ მიყურებთ რარიგ კობტად
 და ლამაზად მივაბიჯებ!
 მე მაქვს დიდი ძიას სახე
 გულზე ვარდად დაქარგული,
 ვინც პირველმა მოგვილოცა
 გამარჯვების გაზაფხული.
 მე მაისში დავიბადე,
 გაზაფხულის ყვავილი ვარ.
 ჯერ ხუთი წლის არ ვიქნები
 და აღლუმზე მაინც მივალ.

ანდრო შიშხაძე



ნახტი ფარნაო ლაპიაშვილისა

აუ-აუ

როცა დაბლა დაეშეება
 შეღაპების ფარდა,
 ეველას სძინავს, ეველა წვება
 აუ-აუს გარდა.

ბიჭუნასაც ტებილათ სძინავს,
 მსოლოდ სოკჯერ შეფათავს,
 როცა მძინარს ესმის შინაც
 მადლის ეფუა ოდნავ.

აკონდება ვოფნა გარეთ
 და სირბილი ხარბი,
 სიხმრად ხედავს ლამაზ მხარეს,
 საცა ცუგო დარბის.

მაგრამ ფარავს სარკმლის შინას
 დამეგებული ფარდა.
 ეველა დაწვა, ეველას სძინავს
 აუ-აუს გარდა.

გვირის ბარათი

კარგად მანათებს დედი,
 ექვსი წლის თუ შვიდის.
 რომ დაგაყვი გვერდით
 და ჩიტოვით მზრდილი.
 ვით ბავშვობას შეგვეფრს,
 ვბტოდი როგორც შეველი,
 და ვიქცედი ჰეპლეს
 მინდერად ფეხშიშველი.
 და დაეკროდი სოულად
 მუდარი ჯოხის ცხენზე,
 ამირანი ეყოფილიყავ
 მინატრია ბევრჯერ.
 ასე გამობრდილი,
 უსახელო, მარდი,
 მახვილამოწვდილი
 ფრონტზე გვირი გაეხდი.

შალვა ლორთქიფანიძე

გივი ბარჩილაძე




გულუკეთილა და მხეცეები

ზაზაბარი ლაძხალ გრიგოლ სახსლადონსა
ნახაბიანი ლაღო გულიანკაიონსა




იყო ერთი გლეხიკაცი,
გულუკეთილას ეძახოდნენ,
რადგან იმას ყველასათვის
კარგი მსურდა მარტოდენ.
ქვიანსა და გამრჯე მშრომელს,
ყველაფერი ჰქონდა ბევრი:
მური, თაფლი, ქონი, ერბო,
წითელ ღვინით საცე ქვევრი,
სტუმრებისთვის ღია იყო
გულუკეთილას სახლის კარი...
ღარიბათვის არა ჰმურდა
მალალ შრომით მონაგარი.
ის ჟეყარდა დიდს და მცირეს,
მას ხომ არიენ არა სძუოდა,
მაგრამ ერთხელ გულუკეთილსა

გამრანდა და გაავგულდა.
მას შეუნდა, შეეჩია
ოთხი მხეცი მტაცებელი:
ქურდი ტურა, წუწკი მელა,
მუხანათი დათვი, მგელი.
მუსრს ავლებდა ტურა ქათმებს,
ინდაურს და ბატებს—მელა,
თხა და ცხვარი გულუკეთილას
გაუწყვიტა მგელმა ყველა.
დათვმა ყინა გაუწბილა,
შეუქამა ძროხა, ცხენი.
გალარიბდა გულუკეთილა,
დადიოდა გულნატენი.
ბოლოს ასე გადაწყვიტა:
ავის მქნელებს ვუხამ აესო,—
წესი არის დისაჯოს
ყველა ქურდი და უმსგავსო.
აღვა, ტყისკენ გაემართა,
ტყის ბილიკებს დააყურა.
—ვის დაეძებ?—ბუჩქებიდან
შეგკითხა უცებ ტურა.
—შენ დაგეძებ, ჩემო ტურავ,
ქელს ვათხოვებ ორმებათსა!
—ქორწილი გაქვს? მაშ გეწვევი,
არ გაგიტებ მე შენ ხათრსა.
თან ქათმებსაც წამოგიყვან,
შენთვის არ მშურს კარგი ძღვენი.
—უსათუოდ მოდი, ტურავ.



არ დამტოვო გულნაწყენი!
 გულკეთილამ გზა განაგრძო,
 უღრან ტყეში მიდის ნელა.
 —ვის დაეძებ, გულკეთილავ?—
 ეკითხება წუწკი მელა.
 —შენ დაგეძებ, ჩემო მელავ,
 ქალს ვათხოვებ სამშაბათსა!
 —ქორწილი გაქვს? მაშ გეწვევი,
 არ გაგიტებ მე შენ ხათრსა.
 თან ბატებსაც წამოგიყვან,
 შენთვის არ მშურს კარგი ძღვენი!
 —უსათუოდ მოდი, მელავ,
 არ დამტოვო გულნაწყენი!
 გულკეთილამ გზა განაგრძო,
 ტყე უღრანი არის ბნელი.
 —ვის დაეძებ, გულკეთილავ?—
 ეკითხება ხარბი მგელი.
 —შენ დაგეძებ, ჩემო მგელო,
 ქალს ვათხოვებ ოთხშაბათსა!
 —ქორწილი გაქვს? მაშ გეწვევი,
 არ გაგიტებ მე შენ ხათრსა.
 თან მსუქან ცხვრებს წამოგიყვან,
 შენთვის არ მშურს კარგი ძღვენი!
 —უსათუოდ მოდი, მგელო,
 არ დამტოვო გულნაწყენი!
 გულკეთილამ გზა განაგრძო,
 არ იღვევა გზა ტყიანი.



—ვის დაეძებ, გულკეთილავ?—
 ჰკითხავს დათვი ბანჯგელიანი.
 —შენ დაგეძებ, დათუნიავ,
 ქალს ვათხოვებ ხუთშაბათსა!
 —ქორწილი გაქვს? მაშ გეწვევი,
 არ გაგიტებ მე შენ ხათრსა.
 მოვლ, მსუქან ხარებს მოგგვრი,
 შენთვის არ მშურს კარგი ძღვენი!
 —უსათუოდ მოდი, დათვო,
 არ დამტოვო გულნაწყენი!
 გულკეთილას ელიძება,
 საქმეს ჩარხავს ოსტატურად.
 ორშაბათი რომ გათენდა,
 დატვირთული მოდის ტურა.
 მასპინძელი შეეგება,
 ჩამოართვა ხელად ძღვენი.
 ტურა ამბობს: „დამანახეთ
 საღვინოფლო, ქალი თქვენი!“
 მაგრამ უცებ გულკეთილამ
 ტურას წიხლი უთავაზა,
 ბნელ საკანში შეაგდო და
 კარიც მაგრად ჩაურაზა,
 უთხრა: „უნდა დისაჯოს
 ყველა ჭურდი სამაგელი!
 საქათმე რომ ვამიკვლიე;
 ბატრებას ნუღარ ელი!“
 სამშაბათი რომ გათენდა,
 დატვირთული მოდის მელა,
 აქეთ-იქით იყურება,





მოაბიჯებს ნელა-ნელა.
 მასპინძელი შეეგება,
 ჩამოართვა ხელად ძღვენი.
 მელა ამბობს: — „დამანახეთ
 სადღედოფლო, ქალი თქვენი!“
 მაგრამ უცებ გულკეთილად
 მელას წინლი უთავაზა,
 ის ტურასთან შეგდო და
 კარიც მაგრად ჩაურაზა.
 მელას ტურა დაეძგერა,
 გაატყავა და ჩაყალბა.
 შემდეგ ტურა ბნელ საკანში
 წაპოწვეა და გაინაბა.

ოთხშაბათი რომ გათენდა,
 მოაყმულვა ეზოს მგელმა,
 თხა და ცხვრები შემორგვა
 იმ რუხმა და საძაგელმა.
 მასპინძელი შეეგება,
 ჩამოართვა ხელად ძღვენი.
 მგელი ამბობს: „დამანახეთ
 სადღედოფლო, ქალი თქვენი!“
 მაგრამ უცებ გულკეთილად
 იმას წინლი უთავაზა,
 ბნელ საკანში შეგდო და
 კარიც მაგრად ჩაურაზა.
 მგელი ტურას დაეძგერა,
 გადასანსლა უბედური
 და შემდეგ კი მან ყმულით
 თქვა მასპინძლის საყვედური.

ბუთშაბათი რომ გათენდა,
 წინ მოუძღვის დათქვენი
 ლიქრობს: „ძღვენი მასპინძელსა
 აბა, ვის არ გაახარებს!“

მაგრამ მასაც გულკეთილად
 წინლი მარჯვედ უთავაზა,
 იგი მგელთან შეგდო და
 კარიც მაგრად ჩაურაზა.
 დათვი რუხ მგელს დაეძგერა,
 ღონიერად გაპკრა თათი
 და გამფატრა იგი უცებ,
 ყმალი და მუხანათი.
 შემდეგ ბრაზით დაეძგერა
 საკანიდან კარებს მაგარს.

„გულკეთილად, განა ასე
 გატყვიან თქვენში მაყარს?!“
 გულკეთილად უმასუხა:
 „შენ არ მოსებ ჩემი ყანა?
 ძროხები და ცხენის ჯოგიც
 შენ არ გამოწყვეტე განა?
 დღეს მოდიხარ ამყარად
 და ნაჭურდალს მიძღვენი ხარებს,
 შენ გგონია შენი ძღვენი
 მე ძალიან გამახარებს?!“
 გულკეთილი თუმცა შეჭია,
 მხეტებისთვის მე ვარ ავი!“ —
 ეს უთხრა და ხმალი დაპკრა,
 წააძალა უცებ თავი.



პაწაწინა ლექსები



თხა-კიჩინა

თხაო, თხაო კეცინა,
 პურამ ფეხზე გეცებინა!
 —პურიანუ, თხას რას ერჩოდია?
 —აბა, რატომ შირქინა?



ნაძვები

შწვანე კაბით შემოსილი
 რა ლამაზი ნაძვებია!
 ნეტავ, როგორ იძინებენ,
 სულ რომ დგანან, არ წვებიან?!



ფიჭვები

რა წერწერა ფიჭვებია,
 რა სწორი და მაღლებია!
 დღე და ღამე ფეხზე დგომით,
 ნეტავი, არ იღლებიან!



მიუვარს ჩემი ქოხორა,
 კვერცხს რომ დადებს, კაკანებს!
 მისკენ ქორს და შელიას
 როგორ გაეაჭაჭანებ!

ილია სიხარულიძე

ავადმყოფი ბელურა

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

კუსული ზღაპარი

ერთხელ ბელურა ცოლს გაებუტა, ჩაწვა, ჩაიყუტა თავის ბუდეში და ქოჩორი აიბუტვა. ხმას აღარაღის სცემდა, არც კამდა, არც სვამდა.

მოსწყინდათ მეზობლებს უმისობა. უწინ ბელურა ყველასთან დადიოდა, ყველას იცნობდა, ყოველდღე რაიმე ახალ ამბავს მიუტანდა. ახლა კი საღლაც გაქრა, აღარ გამოდის. რა მოუვიდა, ნეტავე?

წავიდა მამალი ავადმყოფის სანახავად. მივიდა, დააკაუნა კარებზე.

— რა გნებაეთ?



ნახატები ხევერიან კეცხოველისა

— შინ არის ჩენი ბელურა?

— შინ ვახლაეთ, ავად არის!

— რა სტკივა?

— ყელს იტკივებს.

— ა, ა, კარგია ჭერს იზოვიდეთ, მობარშავდეთ და ცხლად შემოადებდეთ ყელზე.

— უკვე ვსინჯეთ, მეზობელო, მაგრამ ირ უშველა.

შემდეგ ყვაე მივიდა ავადმყოფის სანახავად და კარებზე დააკაუნა.

— ბელურა შინ ბრძანდება?

— შინ ვახლაეთ, შეუძლოდ არის.

— რას იტყენს?

— მგონია წელს!





—ა! იცი, რა უშველის? მოიტანეთ
 აბზინდა ბალახი და ზურგი დაუზილოეთ.
 დედალიც მივიდა ბელურას სანახავად.
 — შინ ბრძანდება ჩვენი ბელურა?
 — შინ არის, ავადმყოფია!
 — რა სტკივა?
 — ქუსლები!
 — კარგი იქნება, თუ პიტნით დაუ-
 ზელო!
 — დაეუზილოეთ, ჩემო კარგო, და ძი-
 ლიანაც დაეუზილოეთ, მაგრამ არ უშველა.
 გაცეცინა ბელურას, რომ ამდენი მნახვე-
 ლი მიდის და ყველას თავი ექიმაღ მო-
 აქვს. ადგა, ფრთები გაისწორა და საბუ-
 რავზე შეფრინდა.
 — კიდევ კარგი, რომ მართლა ავად
 არ ვარო!

სთარგმნა პარმენე ზანდუცილმა



ჩუმად, ფისო!

ჩუმად, ფისო, ნუღარ სტუნავ,
 შენი თავი არ მაქვს, სედავ?
 მოისვენე შენც, დათუნავ:
 დაღლილია, სძინავს დედას!

დავახუროთ შალი ფრთხილად,
 არ შესცივდეს, იუოს თბილად.
 გაიღვიძებს, კვლავ მოკვსედავს
 საყვარელი ჩვენი დედა.

მამინ ერთად ვითამაშოთ
 და ვისტუნოთ დიდხანს, დიდხანს..
 რატომ კნავი, რატომ ბავუშობ,
 ვერ გაიგე, შე რაც ვითხარ?
 ჩუმად, ფისო, რატომ სტუნავ
 შენი თავი არ მაქვს, სედავ?
 მოისვენე შენც, დათუნავ!
 დაღლილია, სძინავს დედას!

ნიკოლოზ ჩიჩუაძე





ნახტი კლდე კონახისა

ანგარიში

დღეა გოგიას ანგარიშს ასწავლიდა.

— გოგი, შენ ერთი ვაშლი გქონდა, მერე ორი გაჩუქეს, რამდენი ვაშლი გექნება?

— სამი.

— გოგი, ალიკო მოვიდა სკოლიდან, შენ იმას ერთი ვაშლი შესთავაზე, რამდენი დაგრჩება?

— იქნებ არ გამომართვას?

— არა! გამოგართმევს! რამდენი დაგრჩება?

— რამდენი და ორი!

— აბა, გოგი ახლა თუ მიხვდები, ორი შოკოლადი გქონდა, კიდევ ორი მოგვცე, რამდენი გექნება?

გოგი დაფიქრდა. მერე უპასუხა:

— ბევრი!

— არა, მაინც რამდენი? აი, ორი და კიდევ ორი!

დღეამ თითებზე დაათვლევინა.

— ოთხი!

— აბა, კიდევ თუ მიხვდები. სამი ამხანაგი მოგვიდა. შენ ყველას გაუნაწილე შოკოლადი, რამდენი დაგრჩება?

გოგიმ თითებზე დაითვალა და შეჩერდა.

— რამდენი იქნება? — გაუმეორა დღეამ

— ერთი!

და გოგის ნიკაპი აუთამაშდა სატირლად.

ბაიჯან

ინგლისური ხალხური გამოსწავლები

1) ტყეში შემეყარა, დავჯექი, ვეძიე, მაგრამ ვერ ვნახე, არ იქნა, არა; რაც მეტი ვძებნე, უფრო გამამწარა. რაღას ვაზამდი! გულნატკენმა შინ მოვიტანე.

(ამერი)


2) სახლზე მალალი, ხეზე მალალი, მთაზედაც მალალი შორით იჭყიტება, ნეტავ რა იქნება?

(სხეპნიყყენ)

ქირვეული წიწილა

ქართული
ბავშვებისათვის

ჩვენს კრუხს წიწილები ჰყავდა,
მაგრამ ერთი სხვებს არ ჰგავდა,
რომ ქვეავდა დედა ნაგავს,
მოისმენდით ასეთ ამბავს:
— წია, წია, შშია, შშია,
მე არ მინდა მატლი, ჭია,
მომიტანეთ ფეტვი, ჭერი,
ან ხორბალი ნოყიერი!
— ეს არ მინდა, არა, არა,
მომიტანეთ მალე, ჩქარა,
რაც ვითხარით, წია, წია,
ჩქარა, ჩქარა, შშია, შშია!
და წიწილა ქირვეული,
უკმელობით მიღეული,




ნახატები ხევერიან მახაშვილმა


თუმც წიწილა თბილად დასვენს
და წამლებიც ბლომად ასვენს,
მას უვლიდა თითქმის ყველა,
— მაინც ვერვინ ვერ უშველა.
და წიწილამ ქირვეულმა,
უკმელობით მიღეულმა,
ვერ გაუძლო სიციხის ძალას
და საღამოს მიიკვალა.
კრუხს გაუშრა მოთქმით ხახა
და წიწილებს დაუძახა:
— ქოთ-ქოთ, ქოთ-ქოთ, ამას
ხედავან!

შეგვაშფოთა ყველა დიდად,
ქირვეულის ეს ამბავი
მუდამ გქონდეთ მაგალითად.

ჯასარი შონიაშვილი



დასუსტდა და გახდა ავად,
ალარ ღირდა საკითხავად.
დასიეს ექიმები:
ცუგო, იხვი და მამლები.
უთბრეს: — ბრიყვო, რა გიქნია?! —
ყველამ ხელი ჩაიქნია:
— შე საწყალო, შენი თავი
ძალით რისთვის მოიკალი!
დიაგნოზი უთბრეს ზუსტი:
— ფილტვები ვაქვს მეტად სუსტი.
ქალღღებზე წერეს, წერეს
და რეცეპტი გამოწერეს...



კოალა



ბავშვებო! დახედეთ ამ სურათს. რა კარგი დათუნიებია. აქედან შორს, ძალიან შორს არის ერთი ქვეყანა, მას ავსტრალიას უწოდებენ. იქ ცხოვრობს ასეთი დათუნია, რომელსაც კოალას ეძახიან.

კოალა პატარა ცხოველია. ძუ დათუნიას მუსელებზე ტყავის ჩანთა აქვს, ის ერთ ბელს ბადებს ხოლმე და იმ ჩანთით დაატარებს რამდენიმე თვეს. როდესაც ბელი იმოდენა გახდება, რომ ჩანთაში აღარ დაეტივა, მერე ზურგზე შეისვამს და ისე დამყავს.

კოალა ძალიან ზანტია, დინჯად, ნელა

ცოცავს ხის ტოტებზე და ფოთლებით იკვებება. იშვიათად ჩამოდის ხიდან. როცა ჩამოდის, თავებით თხრის მიწას და მცენარეების ძირებს ეძებს. მერე ისევ სხვა ხეზე აბობლ-

დება. დედას შვილი თან დაჰყავს ხეებზე შესკუბებული, სანამ ბელი ერთი წლის არ გახდება.

დღისით კოალას ისე ტკბილად სძინავს, რომ თუ ძალიან არ იხმაურე, ვერ გააღვიძებ. ავსტრალიელებს უყვართ ამ დათუნიას ხორცი და კომბლებით ჰკლავენ მას, მისი ტყავისაგან კი ლამაზ ხალიჩებს აკეთებენ. დაჭრილი კოალა ისე ზღუტუნებს, როგორც გაღაზული ბავშვი.

ჩვენში ასეთი დათუნია არ არის, ჩვენს პავს ვერ იტანს. ის მხოლოდ ავსტრალიაშია.

შალვა თაბაკაშვილი

ტამოკანქები

(შედგენილი ალექსანდრე საჩინოელის მიერ)

მტაცებელი ფრინველია,
შევარდენზე ტანპატარა,
წიწილების მოტაცებით
მან კრუხები გაამწარა,
ამიტომაც არც ჩვენ ვზოგავთ,
თუკი სადმე შეგვეყარა.

(აყაფ)

მოხუცი თუ ახალგაზრდა—
ყველა ხმარობს ქაჩლის გარდა.

(ამანციყაჩე)

შავი ფერის ფრთოსანია,
ქურდია და გაიძვერა,
მას მგალობლად მოაქვს თავი,
თუმც ეს ქვეყნად არვის სჯერა.

(ანენი)

ჭრიალა და თვლებიანი—
შიგ უბია რქებიანი.

(აგწყნ)

სიცოცხლეში ერთი რამე
სულ მუშაობს დღე და ღამე.

(სამნე)





ლაშქარის, ფინჯანისა და კოვზის ჩხუბი

ინგლისური ზღაპარი

ერთ დღეს, საუბრის დროს, ლაშქარი, ფინჯანი და კოვზი წალაპარაკდნენ და მერე ისეთი ჩხუბი ასტუხეს, რომ პატარა თომა, რომელიც ამ დროს ჩაის მიირთმევდა, სიცილით კინალამ გაიფხრინა.

„ქვეყნად ყველაზე დაზარალებული არსება მე ვარ,—დაიწყო ლაშქარმა,—შენ, მახინჯო და უწო ფინჯანო, მთელი საუბრის დროს დაჯირითობ ჩემს ზურგზე, მერე ამასაც არ მაკმარებ და აღუღებულ ჩაის გადმომაღვრი ბოლმე, ხან კიდევ კოვზით მიკაკუყებ გვერდებს!“

„შენა ხარ დაზარალებული!—დაიბრიალა ფინჯანმა.—შენ, უქნარა ეაქებატონო, იბა, რას მიკეთებ, გღიხარ და მხოლოდ სუფრას ინახავ სუფთად. მე კი მართლაცდა ყველაზე საბრალო ვარ, ჯერ ერთი, რომ ყელამდე გამავსებენ ცხელი ჩაით, ლამისა დავიღრჩო, მერე მოადგება ეს კოვზი და იმდენს მირტყამს გვერდებსა და მუცელში, რომ ვეღარც კი ვგრძობ, ფეხზე ვდგავარ თუ თავდავირბ ვარ.“

„ღიბ, როგორ არა!—აკანდა ახლა კოვზი.—თქვენ არათრის მაქნისები ხართ და ბევრს კი უბედობთ! საცა სამართალია, მთელი საქმე მე მაწვეს. ჯერ უნდა საშაქრიდან შაქარი ამოვიღო, მერე თავბრუდაგვეყამდე უნდა ვიტრია-

ლო და გავადნო ეს შაქარი, და როცა მგონია ახლა კი მოვისვენე, ტკბილი ჩაით ყელს ჩავიტკობ მეთქი,—პირთან მიმარბენინებს ეს სულელი ბიჭი, რომელიც ახლაც კი დაგვიცინის!“

ასე დაიწყო მათი ჩხუბი და გაგრძელდა ნასაუბრევეს სამზარეულოშიც. მორთეს ბტუნვა, ჯირითი, კოვზი ლაშქარს მივარდა და ცხვირპირი ჩაამტვრია, ფინჯანი კიდევ კოვზს ეცა და ერთი კი აჰკრა თავი, მაგრამ უცებ იატაკზე დაეარჯა და ზუთად დაიშხვრა. დარცთიანებული კოვზი კუთხეში მივარდა თავგების სოროსთან.

ეს გახლავთ ამ ჩხუბის ბოლო. ახლა კი სასჯელიც მოისმინეთ:

ლაშქარი ხარახურით სასე დიდ კასრში დიატყვევებს, სადაც საბრალო ფინჯანზე ათჯერ უფრო ძვირე რკინის ნაჭრები ეყარა; ზუთად დამსხვრეული ფინჯანი სანაკვე ყუთში მოათავსეს და მეთად აღარც უნახავს მზის სინათლე; კოვზი კი, რომელსაც გულში ეცინებოდა ხომ გადაერჩიო, სოროში გაიჩხირა და იქ გდია საბრალო, ვეღარც გარეთ გამოდის და ვერც თავკებთან შესული.

ინგლისურიდან სთარგმნა ვახტანგ ჭ. ლიჭინე

კოვზი



61/470

3382/47
თბილისის
გრაფიკის



ნახატი ზამსონ ნადარეიშვილისა

მ ა მ ა ღ ა ბ რ უ ნ დ ა

გამომც. შეგვეთის № 40. სტამბის შევე. № 914 ტირაჟი 7.000 ჟე 08102.

დ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტ“ თბილისი, ლენინის ქ. № 28.
ფერადი ილუსტრაციები დაბეჭდილია სსსრ კვების შრეწე. სამ. კომისარიატის ლითოგრაფიაში.